

სექტორის მიმოხილვა

ზოგადი ტენდენციები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) ბიუჯეტმა 2023 წელს 698,5 მლნ ლარი (10,0 მლნ ლარით ზრდა) შეადგინა. ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი შემდეგ მიმართულებებზე გადანაწილდა:


- სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური უსაფრთხოება – 63,5 მლნ. ლარი
- მეღვინეობა-მევენახეობის განვითარება – 67,4 მლნ. ლარი
- ერთიანი აგროპროექტი – 346,4 მლნ. ლარი
- სამელიორაციო სისტემის მოდერნიზაცია – 95,0 მლნ. ლარი
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობა – 26,0 მლნ. ლარი
- დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა – 31,5 მლნ. ლარამდე
- სატყეო სისტემის განვითარება და მართვა – 21,0 მლნ. ლარამდე
- მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა – 4,4 მლნ ლარი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული დაფინანსების ყველაზე დიდი წილი ტრადიციულად სოფლის განვითარების სააგენტოზე (RDA) (53%), საქართველოს მელიორაციასა (GA) (14%), და ღვინის ეროვნულ სააგენტოზე (NWA) (10%) მიიმართა.

სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული ერთიანი აგროპროექტის ბიუჯეტი გადანაწილდა სოფლის მეურნეობის განვითარების შემდეგ პროექტებზე: შეღავათიანი აგროკრედიტი – 200,0 მლნ. ლარი; აგროდაზღვევა – 12,0 მლნ. ლარი; პროექტი „დანერგე მომავალი“ – 35,0 მლნ. ლარი; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი – 25,0 მლნ. ლარი; აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა – 10,0 მლნ ლარი; სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსება – 17,0 მლნ. ლარი; თხილის წარმოების ხელშეწყობა – 20,0 მლნ. ლარი.

2023 წლის ბიუჯეტის პირველ ვერსიასთან შედარებით, სამინისტროს ბიუჯეტიდან გარემოს დაცვის პროგრამების დაფინანსება 10,8 მლნ. ლარით გაიზარდა და 92,7 მლნ. ლარი შეადგინა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტის გადანაწილება (მლნ.ლარი)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო, 2023


ფასები

ადგილობრივი ფასები


თვიურ ჭრილში ქვეყანაში ფასების დონე მერყეობდა 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის თებერვლამდე. 2022 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI), ნოემბერთან შედარებით, უმნიშვნელოდ შემცირდა (0.3%). 2023 წლის იანვარში კი ფასები წინა თვესთან შედარებით 0.8%-ით გაიზარდა. შესაბამისად, თვიდან თვესთან შედარებით, თებერვალში ფასების შესაბამისი შემცირება 0.3% იყო.

2022 წლის დეკემბერიდან 2023 წლის თებერვლამდე პერიოდში სურსათის ფასების ინდექსის (FPI) მიხედვით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სურსათის ფასები მცირედით (0.4%) გაიზარდა. მაშინ, როცა, თვიურ ჭრილში, ფასების ცვლილება იანვარში 1.4% იყო, თებერვალში კი – 1.2%.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (დეკემბერი 2022 - თებერვალი 2023)



სურსათის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (დეკემბერი 2022 - თებერვალი 2023)




წყარო: საქსტატი, 2023. შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო.

წლიურ ჭრილში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის თებერვლამდე განაგრძობდა ზრდას. 2022 წლის დეკემბერში, 2021 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 9.8%-ით გაიზარდა; 2023 წლის იანვარში ფასების ცვლილება წლიურ ჭრილში 9.4% იყო, თებერვალში კი – 8.1%.

2023 წლის თებერვალში სურსათისა და არალკოჰოლური სასმელების ფასები წლიურ ჭრილში 14%-ით გაიზარდა, რამაც მთლიანი სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ზრდის მთლიანი მაჩვენებლის 4.7%-ს შეადგინა. ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ზრდამ შემდეგი პროდუქტების ქვეჯგუფებში:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ბოსტნეული და ბაღჩეული (25.8%^ა)

პური და პურპროდუქტები (21%^ა)



რძე, ყველი და კვერცხი (17.2%^ა)

წყარო: საქსტატი, 2023

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში სურსათის ფასები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ეს რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული, მათ შორის, COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვები და მიწოდების დეფიციტი საერთაშორისო ბაზრებზე, რამაც საერთაშორისო ფასების ზრდა გამოიწვია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში, რამაც დამატებითი ზეწოლა მოახდინა სურსათის საერთაშორისო ბაზრებზე. სურსათის ფასები კვლავ იზრდება და ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელს ასახავს. 2022 წლის დეკემბერში სურსათის ფასები წლიურ ჭრილში 16.3%-ით გაიზარდა; იანვარში – 15%-ით, ხოლო თებერვალში – 14%-ით. ყველაზე მეტად შემდეგ კატეგორიებში შემავალი პროდუქტები გაძვირდა:

ბოსტნეული და ბაღჩეული – ამ კატეგორიაში შემავალი პროდუქტებიდან ყველაზე მეტად ხახვი (+119%) და კარტოფილი (+57%) გაძვირდა. ხახვის ფასის ასეთი მკვეთრი ზრდის მიზეზი, როგორც ჩანს, საქართველოში შემოსული იმპორტის შემცირებაა. რამდენადაც თურქეთი საქართველოში ბოსტნეულის ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორია, მის მიერ ექსპორტის აკრძალვამ ქართულ ბაზარზე მიწოდების დეფიციტი გამოიწვია.


პური და პურპროდუქტები – ამ კატეგორიაში ფასების ყველაზე დიდი ზრდა 2023 წლის თებერვალში სიმინდის ფქვილსა (80%) და ვერმიშელზე (24%) დაფიქსირდა. საქსტატის მონაცემების თანახმად, საქართველოში სიმინდის წარმოება 2021 წელს არსებული 233 ათასი ტონიდან 2022 წელს 153 ათას ტონამდე შემცირდა (35%-იანი კლება). 2022 წელს სიმინდის მარცვლის იმპორტი თითქმის არ შეცვლილა 2021 წელთან შედარებით – 1,059-დან 1,040 ტონამდე

შემცირდა (2%-იანი კლება).

იმპორტირებული სიმინდის ფქვილის რაოდენობა კი 2021 წელს არსებული 86 ტონიდან 2022 წელს 268 ტონამდე გაიზარდა. საბოლოოდ, ადგილობრივი წარმოების შემცირებასა და სიმინდის ფქვილის იმპორტის ზრდას 2022 წელს შესაძლოა ფასების ზრდა გამოეწვია.

რძე, ყველი და კვერცხი – ამ ქვეკატეგორიაში შემავალი ყველა პროდუქტი გაძვირდა. ყველაზე მეტად შესქელებული რძე და რძის შემცველი პროდუქტები (31%) და იმერული ყველი (23%). წლის ამ პერიოდში ფასების ზრდა, როგორც წესი, განპირობებულია ადგილობრივი რძის პროდუქტების შეზღუდული წარმოებით და მათი ჩამნაცვლებების – რძის ფხვნილის, ნაღების (მაგ. კარაქი) და სხვა რძის პროდუქტების იმპორტით, რომლებიც ძირითადად უკრაინიდან, რუსეთიდან და ბელორუსიიდან შემოდის.

ფასების წლიური ცვლილება (დეკემბერი 2022 - თებერვალი 2023)




წყარო: საქსტატი, 2023

საერთაშორისო ფასები

2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის თებერვლამდე საერთაშორისო ფასები წლიურ ჭრილში შემცირდა. 2023 წლის თებერვალში, 2022 წლის თებერვალთან შედარებით, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი მკვეთრად შემცირდა (8.1%). ფასების ყველაზე დიდი კლება (32.6%) დაფიქსირდა მცენარეული ზეთის ქვე-ინდექსზე. ეს გამოწვეული იყო პალმის, სოიოს, რაფისის და მზესუმზირის ზეთებზე დაბალი საერთაშორისო ფასებით. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ინდექსი შემცირდა, FAO-ის შაქრის ფასების ინდექსი თებერვალში 13.2%-ით გაიზარდა წლიურ ჭრილში. ამგვარი ზრდა დაკავშირებულია მოსალოდნელზე მცირე მიწოდებასთან საერთაშორისო ბაზრებზე 2022-2023 წლებში, რასაც ემატება გადაზიდვებთან დაკავშირებული შეფერხებები და ბრაზილიაში წარმოებული სოიოსა და სიმინდით გამოწვეული მძლავრი კონკურენცია.

საერთაშორისო ფასების წლიური ცვლილება (დეკემბერი 2022 - თებერვალი 2023)





წყარო: FAO, 2023

საერთაშორისო ვაჭრობა

2023 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში საქართველოს მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი 20%-ით გაიზარდა 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით (760 მლნ. აშშ დოლარიდან 915 მლნ. აშშ დოლარამდე). აგრო ექსპორტმა ხელი შეუწყო მთლიანი ექსპორტის მაჩვენებლის ზრდას, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც სხვა საექსპორტო კატეგორიებმა – აგრო პროდუქტების ექსპორტი 12%-ით გაიზარდა და 2022 წელს არსებული 159 მლნ. აშშ დოლარიდან 2023 წელს 179 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამავდროულად, 2023 წელს აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2022 წელს არსებული 21%-დან 20%-მდე შემცირდა.

საქართველოს მთლიანი იმპორტი 20%-ით გაიზარდა და 2022 წელს არსებული 1,820 მლნ. აშშ დოლარიდან 2023 წელს 2,180 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აგრო იმპორტი 18%-ით გაიზარდა და 2022 წელს არსებული 219 მლნ. აშშ დოლარიდან 2023 წელს 258 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამავდროულად, აგრო იმპორტის წილი მთლიან იმპორტში უცვლელი დარჩა (12%).

2022 წლის ბოლოდან ეროვნულმა ვალუტამ დოლართან მიმართებაში გამყარება დაიწყო და იანვარსა და თებერვალში მყარ პოზიციას ინარჩუნებდა. შესაძლებელია, რომ ამან კიდევ უფრო გაზარდა იმპორტზე დამოკიდებულება. რაც შეეხება ექსპორტს, ზოგადად, ვალუტის გამყარებას მასზე უარყოფითი გავლენა აქვს. თუმცა საქართველოს ექსპორტი ინარჩუნებს მყარი ზრდის ტენდენციას.



წყარო: საქსტატი, 2023
შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს.


სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი საექსპორტო საქონელი, როგორც ყოველთვის, **ყურძნის ნატურალური ღვინოები** იყო. 2023 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში მისმა საექსპორტო ღირებულებამ 35 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც აგრო ექსპორტის თითქმის მეხუთედს შეადგენს (19%). გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ღვინის ექსპორტი 15%-ით გაიზარდა.

აგრო ექსპორტის მეორე ყველაზე მსხვილი კატეგორია იყო **სპირტიანი სასმელები**, რომლის ექსპორტმაც 24 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის მაჩვენებელმა აგრო ექსპორტის მთლიანი მაჩვენებლის 15% შეადგინა. ამასთანავე, **თხილის და სხვა კაკლის** ექსპორტის ღირებულებამ 16 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2023 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში განხორციელებული აგრო ექსპორტის 9%-ს შეადგენს.

ამას მოყვება თითქმის თანაბარი ღირებულებით და წილით **თამბაქოს პროდუქტები**, რომელთა ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით (2022 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში არსებული 5 მლნ. აშშ დოლართან შედარებით მაჩვენებელი 62%-ით გაიზარდა და 2023 წლის იმავე პერიოდში 16 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა) და მოულოდნელად მოხვდა ექსპორტირებული აგრო პროდუქტების ხუთეულში.

ღირებულებით მეხუთე ადგილზეა **მინერალური და მტკნარი წყლების** ექსპორტი. პროდუქტების ექსპორტის ამ მაჩვენებელმა 15 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 8%-ია.

ტოპ 5 საექსპორტო აგრო პროდუქტი (იანვარი-თებერვალი, 2023)



წყარო: საქსტატი, 2023

შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს.

პოლიტიკის მიმოხილვა

აგრარულ საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა

კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გელა სამხარაულმა, აღნიშნა, რომ კომიტეტის მუშაობა ძირითადად ორიენტირებულია ოთხი ძირითადი მიზნის მიღწევაზე: ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სტაბილური ზრდის ხელშეწყობა, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდა, სურსათის უვნებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლად სიღარიბის დაძლევა. ამგვარად, კომიტეტის წარმომადგენლების თქმით, 2023 წლის სამოქმედო გეგმა შემუშავდა ახალი ფორმატით და ახალ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: <https://parliament.ge/en/media/news/agrarul-sakitkhta-komitetma-2023-tslis-samokmedo-gegma-daamtkitsa>

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი

შეთანხმება მიზნად ისახავს სამინისტროსა და აკადემიას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, სოფლისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ხელშეწყობას და რესურსების რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფას. მემორანდუმი ასევე ხელს უწყობს სამინისტროს, მის დაქვემდებარებულ სააგენტოებსა და აკადემიის სამეცნიერო დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობას. თანამშრომლობა მიმართული იქნება განსაზღვრული დარგობრივი ამოცანების გადაწყვეტაზე და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებაზე.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: <https://mepa.gov.ge/en/news/details/21174/>